ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №42

16 აგვისტო 2024 წელი

14:00 საათი

ა/წ 16 აგვისტოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. შალვა ოგბაიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. მამუკა გუგეშაშვილი.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს გააცნო ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს თამარ გოგიტიძეს. საკითხის წარმომდგენმა განაცხადა, რომ პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 35-100 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ (დანართი №4). ცვლილებები განაპირობა ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ორგანიზაციასთან

(WMDA) თანამშრომლობამ და მათმა მხარდაჭერამ, საქართველოში, ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის პროგრამის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პროცესებში. WMDA-ს აქვს სტანდარტები, რომლებშიც ასახულია დონორთა რეესტრის შექმნის ფუნდამენტური პრინციპები. იმისათვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრი და იგი ჩაერთოს მსოფლიო დონორთა ბანკში, მთელი რიგი მოთხოვნებიდან, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, ერთ-ერთია 500 მოხალისე დონორის ბაზის შექმნა. დღეისათვის, შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა" „ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ასოციაციის (WMDA)" რეკომენდაციების საფუძველზე უკვე მუშაობს მოხალისე დონორთა ბაზის შექმნაზე და გამოთქვამს მზაობას დაიწყოს რეგისტრირებული დონორების კვლევა, HLA ტიპირების ჩატარება. რეგისტრირებული პოტენციური დონორების კვლევისათვის საჭიროა ფულადი სახსრები, რადგან, კვლევის ბიუჯეტი არ არის მცირე და შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.

პროექტის თანახმად, წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შემდგომ ემატება „ა[1]" ქვეპუნქტი, რომლითაც, ქვეპროგრამის მოსარგებლეებად დამატებით განისაზღვრებიან ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნის მიზნით, მოხალისედ დარეგისტრირებული, პოტენციური დონორები, რომლებიც მერიისთვის განცხადებით მომართვამდე რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რედაქციულ ცვლილებას განიცდის წესის მე-3 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებათა მოცულობა. ამასთან, მე-3 მუხლს ემატება „გ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამით გათვალისწინებული იქნება ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნის მიზნით, მოხალისედ დარეგისტრირებული, პოტენციური დონორების კვლევა, მათ შორის, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) HLA - ტიპირებისათის მოსამზადებელი კვლევები (სისხლის საერთო ანალიზი, C ჰეპატიტი, B ჰეპატიტი, HIV, სიფილისი, თერაპევტის კონსულტაცია, სისხლის ჯგუფის დადგენა) და HLA ტიპირება.

მცირე რედაქციულ ცვლილებას განიცდის წესის მე-4 მუხლის მე-2, მე-2[1], მე-2[2] და 3 პუნქტები, თითოეული მათგანიდან ხორციელდება ჩანაწერის „პირველი პუნქტის" ამოღება, ვინაიდან, წესის მე-3 მუხლს, დადგენილების პროექტის თანახმად, აღარ ექნება პირველი პუნქტი.

იქიდან გამომდინარე, რომ წესში ჩნდება მომსახურების ახალი სახე, საჭიროა განისაზღვროს ისიც, თუ ვინ იქნება აღნიშნულის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულება. შესაბამისად, წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ, ემატება 3[1] პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მიმწოდებლად განისაზღვრება დაწესებულება, რომელიც ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ასოციაციის (WMDA) რეკომენდაციის საფუძველზე, ახორციელებს ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნას, აკმაყოფილებს წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება

ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს და წერილობით, დადგენილი წესით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას.

პროექტის თანახმად, წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტს, დაფინანსების მეთოდოლოგიის ცხადყოფისათვის, დაემატება შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი და წესის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, დადგენილი ტარიფის ფარგლებში სრულად, ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით.

მცირე რედაქციულ ცვლილებას განიცდის წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, საიდანაც ამოღებულ იქნება ჩანაწერი „პირველი პუნქტი", ვინაიდან, წესის ˙მე-3 მუხლს, დადგენილების პროექტის თანახმად, აღარ ექნება პირველი პუნქტი.

ამასთან, მე-5 მუხლში გაჩნდება მე-3[1] პუნქტიც, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა დოკუმენტები უნდა ერთვოდეს HLA - ტიპირებისათვის მოსამზადებელი კვლევებისა და HLA ტიპირებისთვის, მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის ან დაფინანსების მისაღებად, ქვეპროგრამით მოსარგებლე პირის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ, ქვეპროგრამის განმახორციელებლისთვის წარდგენილ განცხადებას. წარსადგენი დოკუმენტაცია მოიცავს: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლს, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში, ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებიდან, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს (ინვოისს); ასევე, პაციენტის თანხმობის ფორმას ღეროვანი უჯრედების დონორთა ბანკის რეესტრის წევრობასა და შესაბამისი ლაბორატორიული ტესტების ჩატარებაზე.

მცირე რედაქციული ცვლილება განიცადა წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტმაც, დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ამ წესის მე-3 მუხლის „ა.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრანსპლანტაციის სახეობის ცვლილების შემთხვევაში, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოდგენილი ახალი მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტისა (ინვოისი) და ტრანსპლანტაციის სახეობის ცვლილების თაობაზე მიმწოდებელი დაწესებულების წერილის საფუძველზე, მომზადდება ახალი მატერიალიზებული ვაუჩერი/თანხმობის წერილი და ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი მომსახურებისათვის ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ტარიფისა. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება დაფინანსდა წინასწარ და ტრანსპლანტაციის სახეობის ცვლილებამ გამოიწვია მომსახურების ტარიფებს შორის სხვაობა, დამატებითი თანხით დაფინანსება განხორციელდება ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფის ფარგლებში, ხოლო ფაქტობრივ ხარჯზე მეტი ღირებულებით დაფინანსების შემთხვევაში, მიმწოდებელი დაწესებულება ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს დაუბრუნოს ტარიფებს შორის სხვაობა. ამ პუნქტის მოქმედი რედაქციის მიხედვით, ტარიფებთან დაკავშირებით, მითითება ხდებოდა მე-6 მუხლზე, მაშინ როდესაც, „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მოქმედი რედაქციით, მომსახურების ღირებულება დადგენილია მე-7 მუხლით დამტკიცებული ცხრილით.

ასევე, წესის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, „ანგარიშგებისა და ანაზღაურების“ ნაწილს დაემატება „დ“ ქვეპუნქტი. რომლის მიხედვითაც, ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნის მიზნით, მოხალისედ დარეგისტრირებული, პოტენციური დონორების კვლევის შემთხვევაში, მიმწოდებელი დაწესებულების მიერ.წარმოსადგენ სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალს, ემატება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის შემთხვევათა რეესტრი.
რაც შეეხება, თავად მომსახურების დასახელებასა და ღირებულებას, აღნიშნული ასახული იქნება წესის მე-7 მუხლით დამტკიცებულ ცხრილში. მომსახურების დასახელებაა „ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) HLA - ტიპირებისათვის მოსამზადებელი კვლევები და HLA ტიპირება“, ხოლო, ღირებულება განისაზღვრება ლარებში და ჯამურად შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.
რედაქციული ცვლილება განიცადა წესის მე-8 მუხლის პირველმა და მე-2 პუნქტებმა. აღნიშნულთაგანაც ამოღებული იქნა ჩანაწერი „პირველი პუნქტის“ ვინაიდან წესის მე-3 მუხლი, პროექტის თანახმად, აღარ ითვალისწინებს პირველ პუნქტს.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ დღეს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვიღებთ, ძვლის ტვინის გადანერგვის კომპონენტს კიდევ ერთი კვლევის დაფინანსება დაემატება, რაც შესაძლებელს გახდის, საქართველოში ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრი შეიქმნას. მომავალში ასეთი რეესტრის არსებობა პაციენტებს მისცემს საშუალებას ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღონ ყველა სამედიცინო მომსახურება ონკოლგიური და ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მართვაში.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 1

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის გარდა, დღის წესრიგში შეიტანა და რიგგარეშე კენჭისყრაზე დააყენა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე შალვა ოგბაიძის არჩევის საკითხი.

.

აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 3

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე